პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 185 (3162)

22 სექტემბერი 1966 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიდი ნარმატება

ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრებაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა რესპუბლიკის სპორტკავშირის თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლამ. ეს ერთადერთი კოლექტივი იყო, რომელმაც ფინალური ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარა და დამსახურებულად მოიპოვა I ადგილი უძლიერესთა შორის. გამარჯვებულ გუნდს საზეიმო ვითარებაში გადაეცა სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი ჯილდო, ხოლო ფეხბურთელებს ოქროს მცირე მედლები. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული არიან მეკარე გოგია, მცველი კანთელაძე (ორივენი — თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა), ნახევარმცველი — ჩიტაური (თბილისის „დინამო"), თავდამსხმელი — შჩელოჩკოვი („პახტაკორი"). საუკეთესო ბომბარდირის ჯილდო გადაეცა ლობოდას („პახტაკორი").

ამას გარდა, ქ. ლუგანსკის ადგილობრივი გაზეთების ჯილდოები დაისაკუთრეს: ზაპოროჟიეს „მეტალურგმა" — ყველაზე ტექნიკურ და საუკეთესო პროფკავშირულ გუნდს, თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლამ — კარგი ტაქტიკური მომზადებისთვის, „ალგამ" — ყველაზე კორექტულმა გუნდმა, თბილისის „დინამომ" — ყველაზე შედეგიანმა გუნდმა, ცსკა-მ — დიდი ანგარიშით მოგებისთვის.



სურათებზე: ზემოთ — თბილისის ფეხბურთელთა მიერ მოპოვებული თასი. ქვემოთ — გამარჯვებული გუნდი თბილისის რკინიგზის სადგურის ბაქანზე ქ. ლუგანსკიდან ჩამოსვლისას. ფოტო ვ. გენგიურისა.

# 7 სახეობის შედეგი

ჩერკასი, (ფოტოდეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). კიშინიოვში რომ დამთავრდა ველოსიპედისტთა შეჯიბრება, დაჯამდა სოფლის სპორტსმენთა III საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული 7 სახეობის შედეგები. საერთო გუნდურ ჩათვლაში ჯერჯერობით პირველ ადგილზეა „უროჟაი" (რსფსრ) — 95 ქულა, II — „კოლმეურნე" „კოლგოსპნიკი" (უკრაინა) — 94, III — „იიუდი" (ესტონეთი) — 80, IV — „კოლმეურნე" (საქართველო) — 78, V — „ვარპა" (ლატვია) — 19, VI — „კოლხოზნიკული" (მოლდავეთი) — 57 ქულა.

ჩერკასში ბრძოლები გრძელდება. აქ ტურნირი დაიწყეს ფრენბურთელებმა. I ტურის შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: ქალები. I ქვეჯგუფი — „უროჟაი" (რსფსრ) — „კოლხოზჩი" (თურქმენეთი) 3:0, „პახტაკორი" (უზბეკეთი) — „კოლხოზჩუ" (ყირგიზეთი) 3:0; II ქვეჯგუფი — „ვარპა" (ლატვია) — „მეხსული" (აზერბაიჯანი) 3:0, „ნემუნასი" (ლიტვა) — „კოლხოზნიკული" (მოლდავეთი) 3:0; III ქვეჯგუფი — „კოლგოსპნიკი" (უკრაინა) — „ხოსილოტი" (ტაჯიკეთი) 3:1, „იიუდი" (ესტონეთი) — „კაირატი" (ყაზახეთი) 3:0; IV ქვეჯგუფი — „უროჟაი" (ბელორუსია) — „სევანი" (სომხეთი) 3:2. საქართველოს გუნდი ისვენებდა. ვაჟები. I ქვეჯგუფი — „იიუდი" — „ხოსილოტი" 3:0, „კოლხოზნიკული" — „სევანი" 3:2; II ქვეჯგუფი „უროჟაი" (რსფსრ) — „მეხსული" 3:0, „კოლმეურნე" — „კოლხოზჩი" 3:0 (15:8, 15:5, 15:12); III ქვეჯგუფი — „კოლგოსპნიკი" — „ნემუნასი" 3:1, „უროჟაი" (ბელორუსია) — „პახტაკორი" 3:0: IV ქვეჯგუფი. „კაირატი" — „კოლხოზჩუ" 3:1.

საქართველოს „კოლმეურნის" ქალთა გუნდმა II ტურში იოლად მოუგო სომხეთის „სევანს" 3:0 (15:8, 15:5, 15:9). მართალია, ყველა პარტია მცირე უპირატესობით სევანელებს მიჰყავდათ, მაგრამ საბოლოოდ ისინი იძულებული გახდნენ დამარცხებას შერიგებოდნენ. ჩვენებიდან განსაკუთრებით კარგად ითამაშეს ზ. კერესელიძემ, მ. სივოპლიასოვამ, ლ. ბუნაკოვამ და ტ. ასმაკოვამ. „კოლმეურნის" ქალებს ქვეჯგუფში დარჩათ ერთი მატჩი (ბელორუსიის „უროჟაისთან"). მისი მოგების შემთხვევაში ისინი ფინალურ ოთხეულში გავლენ.

ვალში არც ვაჟები დარჩნენ. მათ აზერბაიჯანის „მეხსული" დაამარცხეს ანგარიშით 3:0 (15:6, 15:8, 15:5).

მეორე ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: ქალები. I ქვეჯგუფი. „კოლხოზჩი" — „კოლხოზჩუ" 1:3, „უროჟაი" (რსფსრ) — „პახტაკორი" 3:0; II ქვეჯგუფი. „მეხსული" — „კოლხოზნიკული" 2:3, „ვარპა" — „ნემუნასი" 3:0; III ქვეჯგუფი. „ხოსილოტი" — „იიუდი" 1:3, „კოლგოსპნიკი" — „კაირატი" 3:1. ვაჟები. I ქვეჯგუფი. „ხოსილოტი" — „სევანი" 2:3, „იიუდი" — „კოლხოზნიკული" 3:0; II ქვეჯგუფი. „უროჟაი" (რსფსრ) — „კოლხოზჩი" 3:1; III ქვეჯგუფი. „ნემუნასი" — „პახტაკორი" 3:0, „კოლგოსპნიკი" — „უროჟაი" (ბელორუსია) 3:1. IV ქვეჯგუფი. „ვარპა" — „კაირატი" 3:1.

# შეიქმნა სპარტაკიადის შტაბი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო საზაფხულო სპარტაკიადის მომზადებისა და მოწყობისათვის შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები კ. ტ. მაზუროვი (თავმჯდომარე), ს. ა. აზიმოვი, ს. ბეგმატოვა, ა. ა. ბულგაკოვი, ბ. ბულტრიკოვა, ა. ლ. გეტმანი, ა. კ. გრენი, ლ. ი. დირჟინსკაიტე-პილიუშენკო, ი. ა. ზუბკოვი, ვ. ბ. კამენსკი, მ. კარიმოვა, ა. ვ. კოროვჩანუ, ვ. ი. კოჩემასოვი, ნ. ფ. კრასნოვი, ვ. მ. კრუმინი, ი. დ. მაშინი (თავმჯდომარის მოადგილე), ნ. ნ. მესიაცევი, ხ. ნაზაროვა, ს. პ. პავლოვი, ვ. ა. პენკოვსკი, მ. ა. პროკოფიევი, ვ. თ. პრომისლოვი, ნ. ნ. რომანოვი, ა. ა. სიზოვი, ვ. მ. სირაძე, ლ. ა. სტეპანიანი, ტ. ა. ტაიროვა, პ. ტ. ტრონკო. (საკდესი).

# გუშინ...

## „ა" კლასი I ჯგუფი

მინსკი, 21 სექტემბერი. დღეს აქ სსრ კავშირის პირველობაზე ითამაშეს ადგილობრივმა და მოსკოვის დინამოელებმა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1.

* * *

თბილისის „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა" და ერევნის „არარატის" დუბლშემადგენლობათა გუნდები. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს დინამოელებმა.

## „ბ" კლასი IV ზონა

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის.

ზუგდიდში ადგილობრივი „ენგურისა" და კრიმსკის „უროჟაის" მატჩი დაძაბულად მიმდინარეობდა. I ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა. სამაგიეროდ, II ნახევარი იყო უხვმოსავლიანი. გაიმარჯვა „ენგურმა" — 3:2.

დიდი ინტერესი გამოიწვია რუსთავის „მეტალურგისა" და ტყიბულის „მეშახტის" გუნდების შეხვედრამ. თამაშის I ნახევრის 22-ე წუთზე ტყიბულელ ფირცხალავას მიერ მეტოქის კარში გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში. გაიმარჯვა „მეშახტემ" — 1:0.

ფოთის „კოლხიდამ" საკუთარ მოედანზე მიიღო ნოვოროსიისკის „ცემენტი". ანგარიში მეორე ნახევრის მე-5 წუთზე გახსნეს სტუმრებმა (გრიშინი). როცა მატჩის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, ფოთელმა კალიუჟინოვმა გაიტანა საპასუხო ბურთი — 1:1.

ფეხბურთი

## განმეორებით მატჩში — მარცხი

გუშინ ლანჩხუთში გაიმართა ფიზკულტურული კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო თასის გათამაშების განმეორებითი მატჩი ადგილობრივ „გურიასა" და ლვოვის გუნდს შორის. ძირითად დროში ანგარიში არ გაიხსნა. დამატებით დროში სტუმრებმა ანგარიში გახსნეს — 1:0. მატჩის საფინალო სასტვენამდე მცირე ხნით ადრე მასპინძლებმა მოიპოვეს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება, მაგრამ იგი ვერ გამოიყენეს და დამარცხდნენ. „გურია" გამოეთიშა თასის გათამაშებას.

# მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო

დორტმუნდი, 21 სექტემბერი. დღეს აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ტანმოვარჯიშეთა XVI მსოფლიო ჩემპიონატი. დორტმუნდის ველოტრეკზე — „ვესტფალენჰალეში" მსოფლიოს უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა ფორუმს 10.000 მაყურებელი ესწრებოდა. ხალხმრავლობა იყო სარბიელზე — ბრძოლისთვის მზად იყო 480 სპორტსმენი.

პირველად სარბიელზე გამოვიდნენ იუგოსლავიის, უნგრეთის, მექსიკის, ფინეთის, ნორვეგიის, ლუქსემბურგისა და ლიბანის ტანმოვარჯიშე ვაჟები. აქ უძლიერესი იყო იუგოსლაველი მ. ცერარი. მან ჯერ ღერძზე ვარჯიშში მიიღო მაღალი შეფასება — 9,75, ხოლო მერე ტაიჭზე — 9,65 ქულა, მრავალჭიდში 57,15 ქულა დააგროვა და დაწინაურდა.

## უკანასკნელ საათს

◆ დორტმუნდი, 21 სექტემბერი. დღეს, გვიან ღამით, აქ გამოვლინდა ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ლიდერი ვაჟთა შორის. ეს არის საბჭოთა სპორტსმენი მ. ვორონინი, რომელმაც სავალდებულო ვარჯიშში 57,9 ქულა დააგროვა. II ადგილზეა იაპონელი ცურუმი, III — ს. დიომიდოვი (სსრ კავშირი). გუნდურ პირველობაზე დაწინაურდა იაპონიის გუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიჭაბუკე — სტადიონებზე!

**— რა ახალ პერსპექტივებსა და შესაძლებლობებს სახავს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აგვისტოს დადგენილება ბავშვთა და მოზარდთა შორის სპორტის განვითარების საქმეში?**

**ამ შეკითხვით მიმართა აას-ის კორესპონდენტმა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოს მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის სამმართველოს უფროსს ა. გრინიოვსკის.**

— ბავშვებთან და მოსწავლე ახალგაზრდობასთან მომუშავე ფიზიკური აღზრდის სპეციალისტებს, — თქვა გრინიოვსკიმ, — ყველაზე მეტად ახარებთ და შთააგონებთ ამ დადგენილებით დასახულ ღონისძიებათა კონკრეტულობა, ის, რომ გადაწყდა ბევრი პრობლემა, რაც დღემდე აღელვებდა ფიზკულტურულ საზოგადოებრიობას, რომ ბავშვებთან ფიზკულტურული მუშაობისთვის ვრცელი ასპარეზი გადაიშალა.

ხომ გახსოვთ, მაგალითად, რა დისკუსია გაჩაღდა სოფლად ბავშვების ფიზიკური აღზრდის თაობაზე. ახლა კი მიღებულია საქმიანი, პრაქტიკული გადაწყვეტილება. სოფლის ყველა რვაწლიან სკოლაში დამტკიცდა ფიზკულტურის მასწავლებლის შტატი. მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში 24 ათასი ასეთი სკოლაა, უკრაინაში კი 10 ათასი. აბა, წარმოიდგინეთ, ფიზიკური აღზრდის რა არმია მიაშურებს სოფლის სკოლებს. ალბათ, სწორედ ისინი იქნებიან სოფლად სერიოზული ფიზკულტურული მუშაობის პირველი მერცხლები.

მასწავლებლები მხოლოდ გაკვეთილების ჩატარებას როდი დასჯერდებიან, ისინი უნდა ჩაუდგნენ სათავეში სპორტმასობრივ მუშაობას გაკვეთილებიდან თავისუფალ დროს.

**● გვყავს კი იმდენი კვალიფიკაციის სპეციალისტი, რომ არც ერთი სკოლა არ დარჩეს გულნაკლული?**

— ეს გადაწყვეტილება განხორციელდება თანდათანობით, 1967-69 წლებში. ამ პერიოდში კი შეიქმნება უმაღლესი და საშუალო ფიზკულტურული სასწავლებლები. მომავალი წლიდან გაიზრდება მიღება უკვე არსებულ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში. ამას გარდა, გადაწყდა, რომ პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში სტუდენტები — მომავალი მათემატიკოსები, ფიზიკოსები, გეოგრაფები, ისტორიკოსები დაეუფლებიან მეორე პროფესიასაც, ფიზკულტურის მასწავლებლის ხელოვნებასაც. რაკი სიტყვამ მოიტანა, უნდა აღვნიშნო, რომ რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი, მაგალითად, ნ. კრუპსკაიას სახელობის მოსკოვის საოლქო პედაგოგიური ინსტიტუტი, უკვე რამდენიმე წელია მუშაობს ასე და საკმაოდ დიდი წარმატებითაც.

**● ეს რაც კადრებს შეეხება. მაგრამ ბევრ სკოლას ხომ არც სპორტული ინვენტარი აქვს, არც დარბაზი და მოედანი? ამ მხრივ რა მუშაობა ჩატარდება?**

— ჯერჯერობით შემიძლია გითხრათ, რომ სკოლებს გამოუყოფენ გაცილებით მეტ სახსრებს სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობათა შესაძენად. უნდა აღვნიშნო, რომ ზოგ მოკავშირე რესპუბლიკაში, საქართველოში, მაგალითად, ამ მხრივ უკვე ბევრი რამ გაკეთდა.

ორიოდე სიტყვა სპორტული ბაზების შესახებ. დადგენილება პირველად სახავს კონკრეტულ ამოცანას: — მომავალი 2-3 წლის მანძილზე ყოველ სკოლასთან უნდა შეიქმნას ღია სპორტული მოედნების კომპლექსი.

პირველად გადაწყდა, რომ სკოლების, ტექნიკუმების, სასწავლებლების ახალი შენობები საექსპლოატაციოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაეცემა, თუ სპორტული ბაზებიც მზადაა. დღემდე კი იშვიათი როდი იყო მაგალითი, რომ მშენებლები სწორედ სპორტული ნაგებობების ხარჯზე სწევდნენ ეკონომიას, ან აჩქარებდნენ მუშაობის ტემპს. თავსაც იმართლებდნენ: მთავარია ბავშვებს საკლასო ოთახები ჰქონდეთ სამეცადინოდ და მერხებს მიუსხდნენ, თორემ სპორტდარბაზი და მოედნები რა საჩქაროაო.

ბოლოს, ყოველი სკოლის, ტექნიკუმისა და სასწავლებლისთვის, მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, განსაზღვრული იქნება სპორტულ ნაგებობათა სავალდებულო მინიმუმი. სსრ კავშირის „სახმშენს" დავალებული აქვს დაამუშაოს სასოფლო სპორტულ ნაგებობათა ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაფერი ტიპიური პროექტები.

**● დადგენილებით, ყველა ტიპის სკოლის ყველა კლასში კვირაში ფიზკულტურის ორი გაკვეთილი უნდა ტარდებოდეს. განა ადრე ასე არ იყო?**

— დიახ, სკოლების უმრავლესობაში კვირაში ორი საათი ეთმობოდა ფიზკულტურას. უფრო მეტიც, ლატვიაში, მაგალითად, 50 სკოლაში კვირაში სამი გაკვეთილიც ტარდება ფიზკულტურისა და ამას გარდა, შემოღებულია ფაკულტატური საათები სპორტში მომეცადინეთათვის. ესტონეთის 10 სკოლაში საინტერესო ექსპერიმენტი განხორციელდა, — ფიზკულტურის გაკვეთილებს ყოველდღე ატარებენ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია და შესაძლებელია დაინერგოს, თუ საამისოდ ხელისშემწყობი პირობები იქნა (მასწავლებელი, ბაზა, ინვენტარი).

დღემდე სახალხო განათლების ორგანოების ადგილობრივი ხელმძღვანელები ხშირად ფიზიკური აღზრდისთვის განკუთვნილ საათებს სხვა საგნების სწავლებისთვის იყენებდნენ, ან არა და, უბრალოდ, ანახევრებდნენ ამ საათების რაოდენობას. ამას ბოლო მოეღება. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ფიზკულტურის ორი გაკვეთილი კვირაში ნორმად უნდა იქცეს და ამ გადაწყვეტილებას ვერავინ გადაუხვევს.

სხვათა შორის, ეს მკაცრად შემოწმდება. დადგენილების თანახმად, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებთან შეიქმნება ფიზიკური აღზრდის განყოფილებები, სახალხო განათლების საოლქო, სამხარეო და რიგ საქალაქო განყოფილებებთან კი შემოღებულია ფიზიკური აღზრდის ინსპექტორის თანამდებობა.

**● რა პერსპექტივებია დასახული კლასგარეშე სპორტული მუშაობის სფეროში?**

— პირველ ყოვლისა, უნდა შეიქმნას და განმტკიცდეს სასკოლო სპორტული კოლექტივები. ჯერჯერობით სპორტში ჩვენი ქვეყნის მოსწავლეთა მხოლოდ 50 პროცენტია ჩაბმული (მე-3_10-კლასელები), ეს კი ძალიან ცოტაა. ბავშვებს ამ მხრივ უნდა დაეხმარონ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კომკავშირი, სპორტული საზოგადოებები.

ბევრი სკოლის მოსწავლეებს ჰყავთ მეგობრები, შეფები — ფაბრიკების, ქარხნების, წარმოება-დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეები, კოლმეურნეები. მათ აქვთ საშუალება დაეხმარონ სასკოლო სპორტულ კოლექტივებს როგორც საზოგადოებრივი მწვრთნელებით, ისე ინვენტარით. შეუძლიათ მოსწავლეთა სექციებსა და გუნდებს თავიანთი სპორტული ბაზებიც დაუთმონ ხოლმე.

ყოველ საწარმოო კოლექტივს თავისი „სპორტული თანამგზავრი" უნდა ჰყავდეს.

თუ მთელი სსრ კავშირის მასშტაბით ვიტყვით, შეიძლება შეიქმნას მოსწავლეთა ერთიანი საკავშირო სპორტული საზოგადოება. ამ მხრივ ჩვენ უკვე გვაქვს გამოცდილება — წარმატებით საქმიანობენ საზოგადოება „იუნოსტი" მოსკოვში, ტაშკენტში, უფასა და სხვა ქალაქებში, „ნოორუსი" ესტონეთში.

**● გაფართოვდება თუ არა ბავშვთა სპორტული სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების ქსელი?**

— უეჭველად. სხვათა შორის, ამ ცდამ კარგი ნაყოფი გამოიღო გდრ-ში, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში. დადგენილების თანახმად, ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ ბავშვთა სპეციალიზებული სპორტული სკოლების ორგანიზებას. ეს სკოლები ჭაბუკ სპორტსმენთა საუკეთესო მომზადების საწინდარია.

დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში 20 სპორტული სკოლა-ინტერნატია. მომავალში მათი ქსელი კიდევ უფრო გაფართოვდება.

**● სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ითვალისწინებს რიგ ღონისძიებებს საცხოვრებელ ადგილებზე სპორტ-მასობრივი მუშაობის გაშლისთვის. რა გავლენას მოახდენს ეს ბავშვთა შორის სპორტის განვითარებაზე?**

— საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ ნებადართულია ცენტრალიზება იმ თანხისა (ბინისა და საიჯარო გადასახადის ანარიცხები), რაც ადრე საბინაო სამმართველოებსა და საბინაო საექსპლოატაციო კანტორებს ეძლეოდათ საცხოვრებელ ადგილებზე ბავშვთა და მოზარდთა შორის კულტმასობრივი და სპორტული მუშაობის ორგანიზებისთვის. ადრე ეს თანხა ხშირად უსაგნოდ იხარჯებოდა, ახლა კი სპორტული მოედნების მოწყობას, მიკრორაიონისა, საქალაქო თუ რაიონული შეჯიბრებების გამართვას მოხმარდება. ბაქოში საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებთან შეიქმნა ბავშვთა სპორტული კოლექტივები, სადაც 80-მდე ორგანიზატორი-აღმზრდელი მუშაობს. სსრ კავშირში ყოველწლიურად მზადდება საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა მთელი არმია. მათი ასპარეზი სწორედ ბავშვთა სპორტული მოედნებია.

**● რა გაკეთდება ბავშვთა მასობრივი შეჯიბრებების რიცხვის ზრდისთვის?**

— „ოლიმპიურმა გაზაფხულმა", „ოლიმპიურმა ფიფქმა", „ტყავის ბურთმა", „ოქროს შაიბამ" დიდი პოპულარობა მოიპოვა ბავშვებში. ჩვენ კვლავაც ვეცდებით ყოველმხრივ დავუჭიროთ მხარი და განვავითაროთ მასობრივი შეჯიბრებების სხვადასხვა ფორმა, როგორიცაა, მაგალითად, ტანმოვარჯიშეთა სატელევიზიო კლუბი „ძალა და გრაცია". აუცილებელია ბავშვთა ახალი შეჯიბრებების ორგანიზება მძლეოსნობაში, სათხილამურო სპორტში, ცურვაში.

1968 წლისთვის განზრახულია მოსწავლეთა პირველი საკავშირო ზამთრის სპარტაკიადის ჩატარება. მოსწავლეთა X საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამაში ახალი სახეობებიც შევა, კერძოდ, ხელბურთი, წყალბურთი, ფარიკაობა, კრივი, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა. მოზარდთა ასპარეზობები კი ყველა სახეობაში გაიმართება.

სტადიონებსა და სპორტულ დარბაზებში იჭედება ჩვენი ბავშვების, მოზარდებისა და ჭაბუკების არა მხოლოდ ჯანმრთელობა, პირველ ყოვლისა, მათი ხასიათი, ვაჟკაცობა, სიმტკიცე.

# 1 + 8

მოსკოვის „დინამოს" სასროლეთზე ერთ კვირას ქუხდნენ პისტოლეტები და შაშხანები. აქ მიმდინარეობდა პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისა და დოსააფის ორგანიზაციების საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება ტყვიის სროლაში. ტურნირში კარგად გამოვიდნენ საქართველოს დოსააფის სპორტსმენები, რომლებმაც IV ადგილი დაისაკუთრეს (ქალებმა მოიპოვეს III, ვაჟებმა — V ადგილი).

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ასპარეზობის ცალკეულ ვარჯიშებში 9 რეკორდი დაამყარეს და ბევრს მათზე ძლიერ გუნდს აჯობეს. მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3 × 20) სროლაში საქართველოს ქალთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ც. სარჯველაძე, ვ. ვინოგრადოვა და დ. ჩიკროვა, 1634 ქულა მოაგროვა. ამ შედეგმა მათ I ადგილი და დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის ახალი რეკორდი მოუტანა. გუნდის ლიდერმა ც. სარჯველაძემაც არ შეირცხვინა თავი. 600 შესაძლებლიდან მან 558 ქულა მოაგროვა (ესეც დოსააფის რესპუბლიკური საბჭოს რეკორდია) და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. ტრიომ მესამე რეკორდი ჩოქილა სროლაში დაამყარა — 547 ქულა.

თბილისელი ქალები მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე 50 მეტრიდან სროლაშიც კარგად გამოვიდნენ. მ. ლვინერიამ, ნ. სლივინამ და ო. ნოვოსელცოვამ 786 ქულა მოაგროვეს, რაც არამარტო დოსააფის, არამედ საქართველოს რეკორდსაც საგრძნობლად აღემატება. გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. ლვინერია, სლივინა და ნოვოსელცოვა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზეც (30 + 30) კარგად ისროდნენ, რის შედეგად 1683 ქულა მოაგროვეს, მესამე ადგილი მოიპოვეს და დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის ახალი რეკორდი დაამყარეს. ჩვენი ქალები მეორე საპრიზო ადგილზე გავიდნენ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 5 სილუეტზე 60 გასროლაშიც — 1619 ქულა.

ქალებს არც ვაჟები ჩამორჩნენ. სპორტის ოსტატებმა თ. ლეკიშვილმა და გ. ბოსტოლანაშვილმა „გაქცეულ ირემზე" 25 ორმაგი გასროლით 411 ქულა მოაგროვეს და III ადგილი დაიკავეს. ისინი V ადგილზე გავიდნენ „გაქცეულ ირემზე" 50 ერთმაგი გასროლით (404 ქულა) ასპარეზობაში. ამ დუეტმა ასეთივე შედეგით (V ადგილი) დაამთავრა „გაქცეულ შველზე" სროლა — 545 ქულა. საქართველოს სპორტსმენები მეოთხე იყვნენ ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე — 4494 ქულა.

დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის 3 რეკორდი გააუმჯობესეს მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე მსროლელმა ვაჟებმა: დგომელა სროლისას გუნდმა 1408 ქულა მოაგროვა. ჩოქილა სროლაში ა. აბაგიანმა 383 ქულა აჩვენა, ხოლო სტანდარტზე რეკორდს დაეუფლა ა. შამეკო — 1125 ქულა.

შედარებით სუსტად გამოვიდნენ ჩვენი ვაჟები მსხვილკალიბრიანი რევოლვერ-პისტოლეტით (XIV ადგილი), მცირეკალიბრიანი პისტოლეტით (IX ადგილი), არმიული შაშხანით (VII ადგილი) და მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა (ქალები, XIV ადგილი) სროლაში. ამ სახეობებში წარუმატებლობის მიუხედავად, კოლექტივმა გამოცდა დამაკმაყოფილებლად ჩააბარა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ისინი ამ შედეგებს კიდევ უფრო გაზრდიან.

ქ. დალაქიშვილი,
დოსააფის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი.

• • •

სურათზე: ა. შამეკო ასპარეზობის დროს.



# ახალი ამბები

● **მოსკოვი**, 20 სექტემბერი. გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" თასზე გამართულ ჰოკეისტთა გუნდების შეჯიბრებაში უკვე გამოვლინდნენ ფინალისტები. ესენი არიან ცსკა (ნახევარფინალში დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი" — 4:2) და მოსკოვის „დინამო" (ბრნოს გუნდი ზკლ — 2:0). ფინალი შედგება 22 სექტემბერს.

● **ერევანი**, 20 სექტემბერი. აქ დამთავრდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში. შესანიშნავ შედეგს მიაღწია სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატმა მ. ონიშჩენკომ (უკრაინა), რომელმაც 5158 ქულა მოაგროვა და I ადგილი მოიპოვა.

● **პორდუბიცე**, 20 სექტემბერი. ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში დამთავრდა მოტორბოლა „ოქროს ჩაფხუტის" პრიზზე. ეს XVIII შეჯიბრება მოიგო ი. პლეხანოვმა (სსრ კავშირი), რომელმაც ექვსი წრის გავლას მხოლოდ 1 წუთი და 58,9 წამი მოანდომა.

# შაორის ველზე

ამას წინათ ქუთაისის ტურისტულმა კლუბმა „ოქროს ჩარდახმა" მოაწყო ლაშქრობა შაორის ველზე. ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღეს ბამბეულის საქსოვი ფაბრიკის ახალგაზრდებმა.

ტყიბულამდე ტურისტებმა მანქანით იარეს, შემდეგ კი, წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ფეხით გადალახეს ნაქერალას გადასასვლელი და ხარისთვალში, წყალსაცავთან გაშალეს კარვები. მოლაშქრეები განთიადისას აიშალნენ და ნიკორწმინდის ტაძრისკენ აიღეს გეზი.

უკვე საღამო იყო, უდაბნო რომ გაიარეს და ჯერ ტყიბულში ჩავიდნენ, იქიდან კი ქუთაისში დაბრუნდნენ.

ახალგაზრდა ტურისტებს გადაწყვეტილი აქვთ მალე ქუთაისის ახლომდებარე ყველა ღირსშესანიშნავი ძეგლი დაათვალიერონ.

ხ. კიზირაძე,
ქუთაისის ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის" ინსტრუქტორი.

# აურ-ზაური

რედაქციაში შემოსულმა პატარა ბარათმა სპორტის მოყვარულთა გულისტკივილის ამბავი მოგვიტანა ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელიდან. დავინტერესდით, ჩავედით ზუგდიდში და საქმეს ჩავდიეთ.

— თავდაპირველად იმით დაიწყო, რომ ამ რამდენიმე ხნის წინ „კოლმეურნის" ზუგდიდის საბჭოში რაიონული საფეხბურთო პირველობის დებულება დაამტკიცეს. ასპარეზობისთვის სამზადისი იმთავითვე რიგიანად წარიმართა. განაცხადები შეკრიბეს, კალენდარი შეადგინეს, მომავალი მატჩების ადგილები შეარჩიეს, მსაჯები დანიშნეს და პირველობაც დაიწყო.

5 ზონიდან I და II ადგილზე გასულმა გუნდებმა ფინალურ შეხვედრებში განაგრძეს ასპარეზობა. მოხდა ისე, რომ ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და სოფელ დარჩელის კოლმეურნეობის კოლექტივები ბოლოსწინა ტურამდე თანაბარი ქულებით მივიდნენ. კალენდრით, დასკვნით მატჩში სწორედ ეს გუნდები უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. მატჩი ონარიელებმა მოიგეს, მაგრამ დარჩელის გუნდმა შედეგი იმ დღესვე გაასაჩივრა, — სალია (იგი იმ დღეს ონარიელთა კოლექტივში თამაშობდა) საერთოდ ხობის ნაკრებშია და საქართველოს პირველობაზე გამოდისო. დავა უსაფუძვლო იყო. დებულებით, საქართველოს პირველობის მონაწილე სპორტსმენებს, თუ კი ისინი საბჭოთა მეურნეობაში ან კოლმეურნეობაში მუშაობენ, უფლება აქვთ რაიონულ შეჯიბრებებშიც მიიღონ მონაწილეობა. სალია კი ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს. უფრო საყურადღებოა, რომ იმავე ონარიის გუნდში გამოდიოდა ბ. ქარჩავა, რომლის გვარიც სოფელ ინგირის კოლმეურნეობის განაცხადშიც შეგვხვდა (საინტერესოა, რა გზას დაადგებოდა ბ. ქარჩავა, ონარიისა და ინგირის გუნდები რომ შეხვედროდნენ ერთმანეთს?). აურ-ზაურში, რომელიც შემდგომ ატყდა, დიდი „დამსახურება" მიუძღვით ზემოხსენებული მეურნეობისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელებსაც. მათ ხომ განაცხადზე ბეჭდის დასმითა და ხელის მოწერით დაადასტურეს, ქარჩავა ჩვენი კოლექტივის წევრიაო. მთლად „წმინდა" არც დარჩელის გუნდი გამოდგა. ბ. ახალაიას, როგორც შემდგომ გამოირკვა, არავითარი კავშირი არ აქვს ამ სოფელთან.

შეჯიბრების ორგანიზატორებს სრული უფლება ჰქონდათ სათანადო მიეზღოთ

# საქართველოს პირველობა

გასულ კვირას შედგა მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე.

**I-X ადგილები**

● **„კოლხეთი“ (ცხაკაია) — „განთიადი“ (ბორჯომი) 1:1. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).**

მატჩი ორმხრივი იერიშებით მიმდინარეობდა. მეტოქეებმა მხოლოდ თითო გოლის გატანა შეძლეს და გათამაშების ცხრილშიც ამდენივე ქულა ჩაიწერეს.

● **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:2. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).**

მეტოქეებმა თამაში დაზვერვით დაიწყეს, მაგრამ ეს დაზვერვა იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ შესვენებამდე ვერც ერთმა გუნდმა ვერ გახსნა ანგარიში. შეხვედრის მეორე ნახევარში თამაში გამწვავდა. 53-ე წუთზე სტუდენტთა გუნდის მცველმა გეგეშიძემ გვერდი აუარა მეტოქის გუნდის რამდენიმე ფეხბურთელს და ანგარიში გახსნა. ამან გამოაფხიზლა ქობულეთელები. სტუმრებმა ენერგიული შეტევები წამოიწყეს და 65-ე წუთზე მღებრიშვილმა ანგარიში გაათანაბრა. მატჩის დამთავრებამდე კანკიამ კარგად ისარგებლა თბილისელთა მეკარის შეცდომით და იერიში გადამწყვეტი გოლით დააგვირგვინა.

● **„ფეიქარი“ (წულუკიძე) — „მესხეთი“ (ახალციხე) 2:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).**

შეხვედრის პირველი ტაიმი მასპინძლების აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა. მე-9 წუთზე კ. მანაგაძემ სტუმრების დაცვა გაარღვია ცენტრში და შორიდან ძლიერი დარტყმით პირველი გოლი გაიტანა „მესხეთის“ კარში. ახალციხელები შესვენების შემდეგ უფრო გააქტიურდნენ და 74-ე წუთზე ტონოკანიანმა ანგარიში გაათანაბრა. მსაჯის საფინალო სასტვენამდე 2 წუთით ადრე ისევ მანაგაძემ ისახელა თავი — მის მიერ გატანილმა მეორე გოლმა წულუკიძელთა გუნდს გამარჯვება მოუტანა.

## ფეხბურთი

**XI-XXIV ადგილები**

● **„მეშახტე“ (ტყვარჩელი) — „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) 1:0. მსაჯი ბ. ჩოგოვაძე (ქუთაისი).**

შეხვედრის მეორე ნახევარში ზარანდიამ ბურთი გაიტანა წალენჯიხელთა კარში. ამ ერთადერთმა გოლმა დაძაბული და საინტერესო მატჩის ბედი მასპინძლების სასარგებლოდ გადაწყვიტა.

● **„მაღაროელი“ (ჭიათურა) — ასკ (თბილისი) 1:1. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).**

### ფინალური გათამაშების ცხრილი

**I-X ადგილები**

მდგომარეობა 26 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 4 | 3 | 1 | 0 | 8—4 | 7 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 3 | 2 | 1 | 0 | 6—3 | 5 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 3 | 2 | 0 | 1 | 6—2 | 4 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 3 | 2 | 0 | 1 | 4—3 | 4 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 4 | 0 | 3 | 1 | 4—5 | 3 |
| „განთიადი“ (ბორჯომი) | 4 | 0 | 3 | 1 | 4—6 | 3 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 3 | 0 | 2 | 1 | 2—3 | 2 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 3 | 1 | 0 | 2 | 4—6 | 2 |
| „ბურია“ (ლანჩხუთი) | 1 | 0 | 1 | 0 | 1—1 | 1 |
| „კოლხეთი“ (ცხაკაია) | 4 | 0 | 1 | 3 | 2—8 | 1 |

# დღეს ბოლო შეხვედრებია

რაც უფრო ახლოვდება „განთიადის“ რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინიში, მით უფრო გამძაფრდა შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, ჭიდაობაში, ჭადრაკსა და სხვა სახეობაში. ეს გასაგებიცაა, ახლა ხომ ყოველ ქულას, ყოველ გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთო წარმატებისთვის. აი, როგორ მიმდინარეობდა ტურნირები:

● **კალათბურთი**

მეტალურგიული მრეწველობისა და ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ქალთა გუნდების შეხვედრის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. პირველ დამატებით 5 წუთში მეტალურგები დაწინაურდნენ — 45:44. კარგა ხანს ისინი ფლობდნენ ბურთს, მაგრამ საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამი რომ დარჩა, აჩქარდნენ, ანგარიშის გაზრდა მოინდომეს, ტყორცნა ვერ მოზომეს და ბურთი ელექტრიკოსებმა ჩაიგდეს ხელში. ამ უკანასკნელებმა საპასუხო იერიში ცენტრიდან ზუსტი ტყორცნით დააგვირგვინეს. შეხვედრა დამთავრდა ელექტრომრეწველობის გუნდის სასარგებლოდ — 46:45.

ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ქალთა გუნდმა მოუგო მეტალურგებს (34:23) და ფინალში გავიდა. აქ იგი შეხვდება მეორე ქვეჯგუფში გამარჯვებულს — მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ნაკრებს. სპორტკლუბ „განთიადის“ ვაჟთა გუნდმა (პირველ ქვეჯგუფში) გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ნაკრები (43:34) და ფინალში გავიდა.

● **ფეხბურთი**

ვიდრე ტურნირი დაიწყებოდა, სპეციალისტები გამარჯვებას სპორტკლუბ „განთიადის“ გამოცდილ გუნდს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მათი ვარაუდი არ გამართლდა. განთიადელებმა ზედიზედ 3 მატჩი წააგეს ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდთან (0:3), ქვანახშირის მრეწველობისა (0:1) და ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის (0:1) კოლექტივებთან. საინტერესო იყო ტყიბულის „მეშახტისა“ და ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ფეხბურთელთა მატჩი. შეხვედრის პირველი ნახევარი „მეშახტის“ სასარგებლოდ დამთავრდა — 2:1, მაგრამ მეორე ტაიმში მენავთობეებმა კიდევ 2 ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს — 3:2. მანქანათმშენებლებმა ერთნაირი ანგარიშით (3:0) მოუგეს კვების მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკთა პროფკავშირების ნაკრებ გუნდებს.

კვების მრეწველობისა და ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირთა გუნდების მატჩის ბედი უკანასკნელ წუთს გადაწყვიტა მ. ნაზაროვმა, რომელმაც რამდენიმე მეტოქე მოატყუა და ბურთი კვების მრეწველობის გუნდის კარის ბადეში მოათავსა.

● **მაგიდის ჩოგბურთი**

საკმაოდ ძლიერი კოლექტივი წარმოადგინა ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირმა. გუნდი მთლიანად პირველთანრიგოსნებით იყო დაკომპლექტებული. თავიანთ ქვეჯგუფში მათ მშრალი ანგარიშით (3:0) მოუგეს ყველა მეტოქეს — მშენებლებს, მეტყევეებს, ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს და განთიადელებს, ფინალში კი მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდს ძლიეს (3:1) და ჩემპიონობა მოიპოვეს. III ადგილზე გავიდა კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კოლექტივი.

● **ჭადრაკი**

ქვანახშირის მრეწველობისა და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების გუნდების კაპიტნების — აფხაზეთის არაერთგზის ჩემპიონის, ოსტატობის კანდიდატ ა. ბრეიტმანისა და 51 წლის მოჭადრაკის გ. სურმავას შეხვედრა ყველაზე დაძაბული და ხანგრძლივი გამოდგა. ვიდრე ისინი 3-საათიანი ორთაბრძოლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდებოდნენ, მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა დანარჩენი 2 პარტია მოიგეს. ამ კოლექტივმა დაამარცხა ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის წარმომადგენლებიც (3:1) და ლიდერობა დაიმკვიდრა. მეორე ქვეჯგუფში დაწინაურდა ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კოლექტივი, რომელსაც ქუთაისელი ხარატი, ოსტატობის კანდიდატი ა. რაზოვსკი უდგას სათავეში. ელექტრიკოსებმა მოუგეს განთიადელებს (3:1) და ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდს — 2,5:0,5.

● **ფრენბურთი**

საინტერესოდ წარიმართა მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა და ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ვაჟთა გუნდების მატჩი. პირველ პარტიაში მეტალურგებმა იოლად დაამარცხეს მეტოქე (15:8), მეორე კი ამგვარი ტურნირებისთვის იშვიათი ანგარიშით დამთავრდა; მენავთობეები დიდხანს თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც დათმეს პოზიცია — 19:21. მეტალურგებმა მოუგეს „განთიადსაც“ — 2:1 (12:15, 15:7, 15:7). ორი გამარჯვება მოიპოვა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდმა: მან ჯერ ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდი დაამარცხა (15:1, 15:6), შემდეგ კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ფრენბურთელები — 2:1 (15:5, 18:20, 15:9). მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ქალთა გუნდმა იოლად მოუგო ელექტრო (15:11, 15:6) და ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების კოლექტივებს (15:0, 15:8). „განთიადის“ ქალთა გუნდმა კი დაამარცხა მეტალურგები (2:0) და მენავთობეები (2:1). ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ქალთა კოლექტივმა სძლია მანქანათმშენებლებს (2:1) და ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის სპორტსმენებს (2:0).

● **შაში**

ს. პეხლევანიანი თბილისის მე-7 სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობს მეთოდისტად. იგი ფაბრიკის ჩემპიონია ქალთა შორის და ხშირად ვაჟთა ტურნირებშიც გამოდის. ამ სპარტაკიადაზე კი იგი წარმატებით იცავდა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდის ღირსებას. ს. პეხლევანიანმა 2 ქულა მოიპოვა მესამე დაფაზე, მაგრამ ჯგუფში ლიდერობას მაინც კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის მოშაშეები დაეუფლნენ. მეორე ჯგუფში დაწინაურდა სპორტკლუბ „განთიადის“ კოლექტივი, რომელმაც მოუგო ელექტრიკოსებსა (2:1) და მანქანათმშენებლებს (2:1), ხოლო შემდეგ დაამარცხა მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კოლექტივი — 2,5:0,5.

● **ქართული ჭიდაობა**

ამ სახეობაში კარგად მომზადებული კოლექტივები გამოიყვანეს სამშენებლო და ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირებმა. ეს გუნდები იოლად გავიდნენ ფინალში, ჩემპიონობის ბედს კი დღევანდელი ორთაბრძოლა გადაწყვეტს.

● **მძლეოსნობა**

რუსთავის ასპარეზობამ საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მეტალურგებს მოუტანა. II ადგილზე გავიდა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის გუნდი, ხოლო III — სპორტული კლუბი „განთიადი“.

პირად პირველობაში ქ. კახიშვილმა (მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირი) ყველას აჯობა ქალთა ბირთვის კვრაში — 12,90, ხოლო მისმა თანაგუნდელმა ვ. აფონკომ 400 მეტრი 52 წამში გაირბინა. სპორტულ სიარულში ოსტატმა ი. დელა-როსამ („განთიადი“) მოიგო 1.500 (4.14,6) და 5.000 მეტრებზე რბენა (16.45,3). მისი თანაგუნდელი ვ. სევასტიანოვი პირველი იყო 200 მეტრზე რბენაში — 22,6. 42 წლის ჭიათურელმა მძლეოსანმა უ. ტეფნაძემ ვაჟთა შორის I ადგილი დაიკავა ბირთვის კვრაში — 13,14.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მძლეოსანთა ტურნირის ბევრმა მონაწილემ თავიც შეირცხვინა. მეტისმეტად დაბალი იყო, მაგალითად, ქალთა შორის 400 მეტრზე რბენაში გამარჯვებული თ. ვარდიშვილის (მეტალურგიული მრეწველობა) შედეგი—1.11,2. მისმა თანაგუნდელმა პ. ჯაროხიანმა 5 კილომეტრის გარბენას 21 წუთზე მეტი მოანდომა. შუბის ტყორცნაში ქალთა ასპარეზობა არ გამართულა, რადგან მონაწილენი საერთოდ არ გამოცხადდნენ. ამ სახეობაში მხოლოდ ორი ვაჟი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. სამწუხაროა, მაგრამ ტურნირმა დაადასტურა, რომ მძლეოსნობა პროფკავშირულ ორგანიზაციებში პოპულარული არაა.

ვ. ბუკია.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: „განთიადისა“ და ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო ბ. ქვათაძისა.



# ისევ უფერული შედეგები

ბ ა თ უ მ ი, 21 სექტემბერი (ტელეფონით). ცურვაში საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატის მონაწილეებმა მაღალი შედეგებით ვერც ტურნირის მეორე დღეს გაგვახარეს. სამარცხვინოა, მაგრამ ფაქტია, რომ ასპარეზობაში მონაწილე რამდენიმე ოსტატიდან ერთიც კი ვერ შეწვდა თუნდაც ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს. უფრო მეტიც, ქალთა შორის გამარჯვებულებში ისეთებსაც ვხვდებით, რომლებმაც რესპუბლიკის ჩემპიონობა მეორე თანრიგის შესაბამისი დროს ჩვენებით მოიპოვეს. ასე, მაგალითად, თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში გამარჯვებულმა ა. სოხოვამ, 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში უძლიერესმა ვ. ანიკინამ და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში პირველ ადგილზე გასულმა ნ. ქიგალიოვამ. ამ მხრივ სასიქადულო არც ვაჟთა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებულს ვ. ბუდიაკს აქვს.

ჩემპიონატის მეორე დღეს პროგრამის 16 სახეობიდან აჭარის სპორტსმენებმა 7 საპრიზო ადგილი დაიკავეს. დანარჩენებს კი თბილისელები დაეპატრონენ, რაც ძალთა უთანაბრობაზე მიუთითებს. მაშასადამე, დედაქალაქის სპორტსმენების დაბალი მაჩვენებლები კონკურენციის უქონლობითაც შეიძლება აიხსნას, მაგრამ ყველაფერს ამითაც ვერ ავხსნით, ვინაიდან ტექნიკურად კარგად მომზადებული სპორტსმენებისთვის არსებითი მნიშვნელობა როდი აქვს მეტოქეთა სიძლიერეს.

ო. მურვანიძე.

**ტექნიკური შედეგები.** ქალები. 100 მ თავისუფალი სტილით ცურვა — ა. სოხოვა — 1.13,4, ი. ოვჩინიკოვა — 1.13,5, ი. ბახი (ყველანი — თბილისი) — 1.15,7; 100 მ ბრასით ცურვა — მ. ზამბახიძე — 1.27,5, ი. ეფიმოვა — 1.28,2, ზ. ზუბჩენკო (ყველანი — თბილისი) — 1.32,0; 100 მ ზურგზე ცურვა — ნ. ჭუმბაძე — 1.19,4, თ. ლეკვეიშვილი — 1.20,1, მ. სილარაძე (ყველანი — თბილისი) — 1.30,0; 100 მ ბატერფლაით ცურვა — ნ. ქიგალიოვა — 1.18,9, რ. გოჩიტაშვილი — 1.27,5, ე. მძინარიშვილი (ყველანი — თბილისი) — 1.35,7; 200 მ კომპლექსური ცურვა — ვ. ანიკინა — 3.02,9, ზ. ზუბჩენკო — 3.15,7, თ. ისტრებინსკაია (ყველანი — თბილისი) — 3.18,9; 400 მ თავისუფალი სტილით ცურვა — ნ. ქიგალიოვა — 5.48,6, ი. ოვჩინიკოვა — 6.15,7, თ. გუბოლოცკაია (აჭარა) — 6.31,7; ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით — თბილისი — 5.08,1, აჭარა — 6.05,1; კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ — თბილისი — 5.32,7, აჭარა — 6.11,7.

**ვაჟები.** 100 მ თავისუფალი სტილით ცურვა — ი. კარბუკოვი (თბილისი) — 1.00,3, ა. არტომონოვი (აჭარა) — 1.00,4, ზ. ხურცილავა (თბილისი) — 1.00,5; 100 მ ბრასით ცურვა — ი. კირდიანოვი — 1.17,1, კ. ონისიმოვი — 1.18,0, ი. ფუნიკოვი (ყველანი — თბილისი) — 1.20,1; 100 მ ზურგზე ცურვა — გ. კასატკინი — 1.11,3, ჯ. ჩაბაკაური — 1.17,6, გ. მეშჩერიაკოვი (ყველანი — თბილისი) — 1.18,6; 100 მ ბატერფლაით ცურვა — ა. ოიაკიმიდი — 1.07,4, პ. შიხკიანი — 1.14,9, ვ. ონუფრიენკო (ყველანი — თბილისი) — 1.14,9; 200 მ კომპლექსური ცურვა — პ. შიხკიანი — 2.31,7, ბ. ნიკიტინი (თბილისი) — 2.33,7, ე. სიდელნიკოვი (აჭარა) — 2.37,3; 400 მ თავისუფალი სტილით ცურვა — ვ. ბუდიაკი — 5.17,7, ს. მატვეევი — 5.22,9, ვ. ჭარბაძე (ყველანი — თბილისი) — 5.31,7; ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით — თბილისი — 4.55,6; აჭარა — 5.12,7; კომბინირებული ესტაფეტა 4×200 მ — თბილისი — 9.59,5, აჭარა — 10.21,1.

# ფეხბურთის გამო

ორივე გუნდისთვის, მაგრამ გაუთავებელმა ბჭობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ გადათამაშება დაინიშნა. სადავო რომ აღარაფერი ყოფილიყო, ასპარეზობის დაწყებამდე მზად ჰქონდათ „წინდახედულობის“ შესანიშნავი ნიმუში,— აქტი იმის თაობაზე, რომ გუნდების შემადგენლობის გამო პრეტენზია არც ერთ მხარეს არ ექნებოდა (ახალაია, სალია (?!) და ქარჩავა ამ მატჩებში აღარ დაუშვეს). შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. ქულათა რაოდენობა კვლავ თანაბარი იყო და, დებულების თანახმად, ჩემპიონობა ბურთების უკეთესი სხვაობით (44:5) მიეკუთვნა ონარიის გუნდს. აქ კი გააფთრდნენ დარჩელელი გულშემატკივრები, — ჯერ მოედანზე შეიჭრნენ, შემდეგ მთავარ მსაჯზე, გარდამავალ პრიზსა და შეჯიბრების საბუთებზე მიიტანეს იერიში. მაგრამ მათმა „რისხვამ“ მსაჯთა განაჩენი ვერ შეცვალა. ის ზემოხსენებული ბარათიც თურმე სწორედ ამ ამბების შედეგად დაიწერა. ოღონდ, ეს კია, წერილის ავტორებს, ალბათ თავადაც შეეპარათ ეჭვი თავიანთ სიმართლეში და, ყოველი შემთხვევისთვის, ათასი საბუთი მოიშველიეს, დაგვჩაგრესო. იმასაც კი გვწერდნენ, ონარიის გუნდმა ზედა ეწერს მოუგო ანგარიშით 2:1, ოქუმში კი 4:1 ჩაწერესო. გავიკითხეთ და დარჩელელი „გულშემატკივრები“ აქაც გამტყუნდნენ.

რამ გამოიწვია ასეთი აურ-ზაური? ვფიქრობთ, ბრალი ერთნაირად მიუძღვით შეჯიბრების ორგანიზატორებსაც (გულგრილობისა და ლმობიერებისთვის), ზოგიერთი მეურნეობის ხელმძღვანელებსაც (სიყალბისათვის) და გუნდის წარმომადგენლებსაც (დებულების არცოდნისთვის). სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ჯერ კიდევ ბევრგან გვხვდება. სოფლის მშრომელი ახალგაზრდობა ყოველ სპორტულ ასპარეზობას სიხარულით მოელის, მოელის როგორც ვაჟკაცურ, სამართლიან შერკინებას და ამიტომ ასპარეზზე უცხო სპორტსმენის გამოყვანა არც ერთ კოლექტივს არ ეპატიება.

ზუგდიდის ფეხბურთელთა პირველობაში 26 გუნდი მონაწილეობდა. დასანანია, რომ ეს მასობრივი ღონისძიება ასე არაორგანიზებულად ჩატარდა. ხშირად პატარა შეცდომა აცუდებს დიდ საქმეს.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ზუგდიდი.

# ბაქოს საგზურისთვის

აზერბაიჯანის ჭადრაკის მესვეურებმა გადაწყვიტეს აღადგინონ ტრადიცია — გამართონ ამიერკავკასიის საჭადრაკო ჩემპიონატი. ოქტომბრის მიწურულს ბაქოში მოწვეულია საქართველოსა და სომხეთის 5-5 მოწინავე მოჭადრაკე. მასპინძელთაგან ტურნირში 6 კაცი ითამაშებს.

ტურნირის მონაწილე ოსტატობის კანდიდატებს ოსტატის ნორმატივის შესრულების შესაძლებლობა მიეცემათ. საქართველოდან ბაქოს 3 ოსტატი და 2 ოსტატობის კანდიდატი უნდა გაემგზავროს. ჩვენი რესპუბლიკის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმმა ამას წინათ იმსჯელა ამ საკითხზე და გადაწყდა ოსტატობის კანდიდატებისთვის მოეწყოს შესარჩევი ტურნირი, რომელიც ამავე დროს თბილისის ჩემპიონატის ნახევარფინალიც იქნება. ბაქოს გაემგზავრება მოჭადრაკე, რომელიც ამ შეჯიბრებაში I ადგილს დაიკავებს. მეორე საგზური პრეზიდიუმმა პერსონალურად დაუთმო ოსტატობის კანდიდატს თამაზ გიორგაძეს.

შესარჩევი ტურნირი დღეს დაიწყება ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში. სათამაშოდ მიწვეული არიან ჩვენი საუკეთესო ოსტატობის კანდიდატები: ე. უბილავა, გ. მაჭავარიანი, ჭ. არნშტეინი, ი. ვეტოხინი, თ. ელიოზიშვილი, გ. ციხელაშვილი, ს. ჩეჩელიანი, ლ. კერნოჟიცკი, ზ. მიქაძე და სხვები.

ჯერჯერობით ამიერკავკასიის ჩემპიონატისთვის ოსტატებიდან შერჩეულია მხოლოდ ერთი კანდიდატი — თ. ლომაია.

# სარბიელზეა 108 მოჭადრაკე

*წლევანდელ თბილისის საჭადრაკო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ ტურნირებში 108 პირველთანრიგოსანი მონაწილეობს. ისინი 9 ჯგუფად დაიყვნენ, თვითეულში 12 კაცი გამოდის.*

*19 სექტემბერს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შეჯიბრებამ სტარტი აიღო. I ჯგუფში დაწინაურდნენ ნ. ლობჟანიძე (2 ქულა) და ო. თურქესტანიშვილი (1), II — დ. მჟავანაძე, ე. კარკმაზოვი და ნ. ჩახოიანი (2-2), III — პ. შაქარიანი (2), IV — დ. კაპელიოვიჩი (1,5), V — ა. ხარიტონაშვილი (2), VII — ნ. დანელია და გ. ზოზიაშვილი (1,5-1,5).*

*VI ჯგუფში ზოგიერთი მონაწილე სათამაშოდ არ გამოცხადდა და ლიდერებიც არ ჩანან, ხოლო VIII და IX ჯგუფებში თითო ტური გათამაშებული.*

*თვითეული ჯგუფიდან ნახევარფინალში 3-3 გამარჯვებული დაიშვება.*

# მძლეოსნურ მერიდიანებზე

**ბარი.** აქ პოლონელმა სპრინტერმა, ევროპის ჩემპიონმა ი. კირშენშტეინმა 100 მეტრის 11,4 წამში გარბენის შემდეგ ძალები სცადა სიმაღლეზე ხტომაში, ზედიზედ გადალახა 150, 155, 160 და 168 სმ. მეორე ცდაზე კი 171 სანტიმეტრიც დაძლია და გაიმარჯვა. ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ი. ბიოდა მეორე ადგილით დაკმაყოფილდა — 165 სმ.

**ბაზენი.** აქ გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. ასპარეზობისას 100 მ ჩ. გრინმა (აშშ) 10,2 წამში გაირბინა. 400 მეტრზე რბენა მოიგო ლ. ევანსმა (აშშ) — 46,0, რ. ბოსტონი (აშშ) 801 სმ-ზე გადახტა.

**ჰელსინკი.** ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა შვეციისა და ფინეთის გუნდების მატჩი მძლეოსნობაში. 800 მეტრზე რბენაში ფინეთის ახალი რეკორდი დაამყარა პ. პიპოლამ — 1.47,8. სიგრძეზე ხტომა მოიგო რ. სტენიუსმა (ფინეთი) — 780 სმ. სამხტომი — პ. პოუსიმ (ფინეთი) — 15,70. ოლიმპიური ჩემპიონი პ. ნევალა (ფინეთი) საუკეთესო იყო შუბის ტყორცნაში — 80,04.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყოველი მხრიდან

## ● ფეხბურთი გაძვირდა

საფეხბურთო სეზონის დაწყების წინ დასავლეთ გერმანიის 9 მოწინავე კლუბმა გამოაცხადა, რომ კიოლნის, დორტმუნდის, შტუტგარტის, შალკეს, მაინის ფრანკფურტის, კარლსრუეს, მენჰენგლადბახის, კაიზერსლაუტერნის და ჰანოვერის სტადიონებზე დასასწრები ბილეთები გაძვირდა.

დასავლეთგერმანული პრესა აღნიშნავს, რომ გფრ-ში საფეხბურთო მატჩების ბილეთები ისედაც ძვირი იყო. მაგალითად, მიუნხენის სტადიონის დახურულ ტრიბუნაზე ჯდომა 25 მარკა ღირს, ე. ი. კვალიფიციური მუშის 2 დღის ხელფასი. როგორც გაზეთი „შპორტ-დეპეშე" აღნიშნავს, ბილეთებზე ფასის აწევა შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია. მსოფლიო ჩემპიონატზე, როცა გფრ-ის ნაკრებმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, ფეხბურთისადმი დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის ინტერესმა იმატა და იქაური სპორტის მესვეურები ისწრაფვიან, რაც შეიძლება მეტი მოგებისთვის გამოიყენონ ეს ამბავი. „ჩვენი მაყურებლები აღტაცებული იყვნენ, რომ გერმანიის გუნდმა ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა, — წერს გაზეთი, — ახლა კი სადარდებელიც გაუჩნდათ".

## ● თავდასხმა რეკორდზე

ყველაზე ხანგრძლივი საჩოგბურთო მატჩი გაიმართა ამერიკის ქალაქ ჰეფერფორდში, პენსილვანიის ჩემპიონატზე. როცა ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკელი ვ. სეიკასი და ავსტრალიელი ბ. ბოური. სეიკასმა 1953 წელს გამარჯვება მოიპოვა უიმბლდონის ტურნირზე, ამჟამად იგი 43 წლისაა, მისი მეტოქე კი ავსტრალიის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელია.

ორივე სპორტსმენმა გაამართლა მაყურებელთა მოლოდინი. I პარტია დაახლოებით 2 საათნახევარს გაგრძელდა და დამთავრდა ავსტრალიელის გამარჯვებით — 34:32. სამაგიეროდ, II და III პარტიები ამერიკელმა მოიგო — 6:4, 10:8, მატჩმა 3 საათსა და 45 წუთს გასტანა.

უნდა აღინიშნოს, რომ საჩოგბურთო მარათონის აბსოლუტური რეკორდი ჯერ კიდევ ხელუხლებელია. 1949 წელს ლოს-ანჯელოსში შრედერ-ფალკენბურგისა და გონზალეს-სტიუარტის წყვილთა შეხვედრა 4 საათსა და 45 წუთს გაგრძელდა.

# ნაკრები ემზადება

## ხელბურთი

### საერთაშორისო ტურნირი — თბილისში

როგორც ცნობილია, მომავალი წლის 12-21 იანვარს შვეციაში გაიმართება ხელბურთელ ვაჟთა VI მსოფლიო ჩემპიონატი. სსრ კავშირის სპორტსმენებმა ამ ასპარეზობისთვის კარგა ხანია დაიწყეს სამზადისი. ამ მიზნით გათვალისწინებულია მთელი რიგი საერთაშორისო ტურნირები. ოქტომბრის დამლევს, მაგალითად, ჩვენი ნაკრები პოლონეთს გაემგზავრება, სადაც რამდენიმე შეხვედრას გამართავს ადგილობრივ ნაკრებთან. 19-23 ნოემბერს კი საბჭოთა ხელბურთელები ბუქარესტის თასის გათამაშებაში გამოვლენ. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ, აგრეთვე, რუმინეთის, გდრ-ის, საფრანგეთის, იუგოსლავიისა და მასპინძელთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. სსრ კავშირის ნაკრები დეკემბრის მეორე ნახევარში ითამაშებს ერევნის საერთაშორისო ტურნირში, სადაც იუგოსლავიის, უნგრეთისა და სომხეთის სპორტსმენებიც იასპარეზებენ. შემდეგ ერევნის ტურნირის მონაწილენი თბილისში ჩამოვლენ (სომხეთის ნაკრების ადგილს საქართველოს გუნდი დაიკავებს), ამ შეჯიბრების მერე კი საბჭოთა ხელბურთელები შვეციაში გაემგზავრებიან.

სადღეისოდ სსრ კავშირის ნაკრები ძირითადად თბილისის, მოსკოვისა და კაუნასის სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული.

# რევანში ბუდაპეშტში დამარცხებისთვის

ვარშავასა და ვუპერტალში (გფრ) გაიმართა ბუდაპეშტის ევროპის ჩემპიონატის ფავორიტების — გფრ-სა და პოლონეთის მძლეოსანთა მატჩი. პოლონეთის დედაქალაქში ვაჟთა გუნდები 2 დღეს ასპარეზობდნენ, ვუპერტალში კი ერთ დღეში გადაწყდა ქალთა შეჯიბრების ბედი. ტურნირებმა მაყურებელთა ინტერესი იმიტომაც გამოიწვია, რომ კონტინენტის პირველობაზე პოლონელებმა ოქროს 7 მედალი მოიპოვეს, გერმანელებმა კი — 2. სამაგიეროდ, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში გფრ-ის კოლექტივი უფრო წინ აღმოჩნდა.

ვარშავისა და ვუპერტალის მატჩებში პოლონელებმა დაამტკიცეს, რომ ბუდაპეშტში ნათ შემთხვევით წააგეს გერმანელებთან. ამჯერად ამ ორი ქვეყნის ვაჟთა გუნდების შეხვედრა პოლონეთის ნაკრებმა მოიგო — 109:103, ხოლო პოლონელმა ქალებმა — ერთი ქულის სხვაობით (59:58) სძლიეს მეტოქეს.

ამ ასპარეზობაში პოლონელებმა რამდენიმე კარგი შედეგი აჩვენეს. მაგალითად, ვაჟთა ტურნირის მონაწილე ვ. მანიაკმა 100 მეტრი 10,2 წამში გაირბინა, ა. სტალმახი 8 მეტრზე გადახტა (სიგრძეზე), ხოლო ი. შმიდტმა სამხტომში 15,99 აჩვენა. ბადროს ტყორცნა მოიგო ე. პიონტკოვსკიმ — 58,14, შუბის ტყორცნა — ი. სიდლომ — 81,46. აღსანიშნავია პოლონელი მძლეოსანი ქალების — ი. ბიედასა და ი. კირშენშტეინის წარმატება სიმაღლესა და სიგრძეზე ხტომაში. მათ, შესაბამისად, 170 სმ და 634 სმ აჩვენეს.

# ფოტო-თვალით



19 წლის მოსკოველი ვ. ბაკლანოვა დიდ ხანს ქორეოგრაფიით იყო გატაცებული, მაგრამ მერე სპორტმა „დაამარცხა" ხელოვნება — 8 წლის უკან ბაკლანოვამ „სპარტაკის" ცენტრალურ სექციაში წყალში ხტომაში დაიწყო ვარჯიში და მალე წარმატებასაც მიაღწია — 1964 წელს გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. წლეულს კი უტრეხტში ევროპის ჩემპიონატშიც შესანიშნავად იასპარეზა და ოქროს მედალი დაისაკუთრა. მარცხენა სურათზე აღბეჭდილია ბაკლანოვა უტრეხტის ფინალური ასპარეზობის დროს.



ფრენბურთელ ვაჟთა წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში კარგად გამოვიდნენ ამომავალი მზის ქვეყნის სპორტსმენები. მათ მაყურებელს აჩვენეს გააზრებული, კოლექტიური, თავდადებული თამაში.

სურათზე: იაპონიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრის მომენტი.



ეს სურათი გადაღებულია ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე", სადაც ამას წინათ კონტინენტის მძლეოსანთა მორიგი პირად-გუნდური ჩემპიონატი გაიმართა. სურათი მოგვითხრობს 4×100 მეტრზე ქალთა ესტაფეტის ბოლო ეტაპის საფინიშო პერიპეტიებზე. როგორც ცნობილია, პოლონეთის, გფრ-ისა და სსრ კავშირის სპორტსმენებმა სტარტიდანვე დაძაბული ბრძოლა გამართეს. მაგრამ ი. კირშენშტეინმა და ე. კლობუკოვსკამ იმარჯვეს და ჩემპიონობა პოლონეთის გუნდს მოუტანეს. სამაგიეროდ, უკანასკნელ მომენტამდე მხარდამხარ მირბოდნენ ი. შტოკი (გფრ) და რ. ლაცე (სსრ კავშირი). გერმანელმა ბოლო მონაკვეთზე შეძლო დაწინაურება, მაგრამ ფინიშის გავლის მერე თავი ველარ შეიკავა და დაეცა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

## თბილისის სპორტულ ცხოვრება

**ფეხბურთი.** „დინამოს" სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. „დინამო" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი). დღეს — ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 22 სექტემბერი-2 ოქტომბერი. თბილისის პირველობის მეოთხედფინალები. დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 8 უე 01785